

საქართველოს კანონი
წყლის რესურსების მართვის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლების და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება, რომელიც:

- ა) არ უშვებს წყლის ხარისხის შემდგომ გაუარესებას;
- ბ) იცავს და აუმჯობესებს წყლის რესურსების მდგომარეობას და წყალზე საჭიროებიდან გამომდინარე, წყლის ეკოსისტემებზე უშუალოდ დამოკიდებული ხმელეთის ეკოსისტემებისა და ჭარბტენიანი ადგილების მდგომარეობას;
- გ) ხელს უწყობს წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;
- დ) მიზნად ისახავს წყლის რესურსების ინტენსიურ დაცვასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, დამაბინძურებელი ნივთიერებების წყლის ობიექტებში მოხვედრის ან/და ჩაშვების და წყლის დანაკარგების ეტაპობრივი შემცირების და თავიდან აცილების გზით;
- ე) ხელს უწყობს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მოქცეული ზონების განსაზღვრას, დაბინძურების ეტაპობრივ შემცირებას და შემდგომი დაბინძურებისგან დაცვას;
- ვ) იცავს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში.

მუხლი 2. კანონის რეგულირების საგანი

ეს კანონი ადგენს წყლის რესურსების დაცვის და წყლის რესურსებით სარგებლობის ძირითად პრინციპებს. ასევე, არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს აღნიშნულ სფეროში.

მუხლი 3. კანონის რეგულირების სფერო

1. ამ კანონის რეგულირების სფერო მოიცავს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებს და მათი დაცვით ზონებს (წყალდაცვითი ზონები).
2. მიწისქვეშა წყლების სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით.
3. საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება

საქართველოს კანონით „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“.

4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საზღვაო სივრცეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ კანონით. ეს კანონი არ არეგულირებს საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივ რეჟიმს, გარდა ამ კანონით სანაპირო წყლებისთვის განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს, თუ კანონში განსაკუთრებული მითითება არ არის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) წყლის რესურსები – ზედაპირული (მათ შორის წყლის ხელოვნური ობიექტების) და მიწისქვეშა წყლების ერთობლიობა;

ბ) ზედაპირული წყლები – შიდა წყლები (მიწისქვეშა წყლების გარდა), გარდამავალი წყლები, სანაპირო წყლები, ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები;

გ) შიდა წყლები – შიდა წყლები მოიცავს მდინარეებს, ტბებს, მყინვარებს, ჭაობებს, თოვლის მუდმივ საფარს, წყალსაცავებს, არხების და ტბორების წყლებს, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებს;

დ) გარდამავალი წყლები – მდინარეთა ზღვის შესართავებთან ახლომდებარე ზედაპირული წყლები, რომლებიც ნაწილობრივ დამლაშებულია სანაპირო წყლების ზემოქმედების გამო, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, არსებითად არიან გაჯერებული მტკნარი წყლებით;

ე) სანაპირო წყლები – ნაპირის ხაზიდან ზღვის მიმართულებით ერთი საზღვაო მილის მანძილზე არსებული წყლები;

ვ) მიწისქვეშა წყალი - წყლები, რომლებიც განთავსებულია ხმელეთის ზედაპირის ქვეშ ფხვიერ ქანებში, კლდოვანი ქანების ნაპრალებსა და ხსნადი ქანების კარსტულ სიცარიელეებში თხევად, მყარ ან აირისებრ მდგომარეობაში, გარდა ზედაპირული წყლის ობიექტების ფილტრატებისა;

ზ) წყალშემცველი ჰორიზონტი - ფართო გავრცელების ერთგვაროვანი ლითოლოგიის ფენი, რომელიც ქვედა მხრიდან შემოსაზღვრულია წყალგაუმტარი საგებით და გავრცელების მთლიან ფართობზე ერთნაირი ფილტრაციული თვისებებით, თითქმის უცვლელი სიმძლავრით, მიწისქვეშა წყლების ერთნაირი ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური მაჩვენებლებით ხასიათდება;

თ) წყალშემცველი კომპლექსი - წყალგამტარი და წყალგაუმტარი ფენების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს ერთმანეთისაგან ჰიდროქიმიურად და ჰიდროდინამიკურად განსხვავებულ რამდენიმე წყალშემცველ ჰორიზონტს;

ი) მდინარე - წყლის ნაკადი, რომელიც მუდმივად მიედინება მისსავე გამომუშავებულ კალაპოტში, იკვებება წყალშემკრები აუზის ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენით და უერთდება ზღვას, ტბას ან სხვა მდინარეს;

კ) ტბა - ხმელეთის ქვაბულში მოქცეული შიდა ზედაპირული წყლის დამდგარი, შენელებული წყალცვლის ბუნებრივი წყალსატევი;

ლ) წყალსარგებლობა - წყლის რესურსებით სარგებლობა სასმელი, საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური და სხვა საქმიანობისთვის, რომელიც გამოიხატება ზედაპირული ან

მიწისქვეშა წყლის აღებაში, შეგროვებაში, გადამუშავებაში და/ან განაწილებაში ტექნიკური საშუალებებით ან მათ გარეშე. ასევე, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება;

მ) წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ნ) მდინარის აუზი – წყალგამყოფით შემოსაზღვრული ტერიტორია, საიდანაც მდინარის სისტემა იკრებს ჩამონადენ წყლებს და ერთი მდინარის შესართავით უერთდება ზღვას.

ო) მდინარის ქვე-აუზი - სახმელეთო ტერიტორია, რომლიდანაც ყველა ზედაპირული ნაკადი მიედინება ნაკადულების, მდინარეების ან/და ტბების (ან სხვა წყალსატევების) გავლით, წყლის კალაპოტის კონკრეტული მონაკვეთისაკენ - ჩვეულებრივ ქვე-აუზის მთავარ მდინარესთან ან ტბასთან შერთვის ადგილისაკენ;

პ) მდინარეების სააუზო უბანი - ერთზე მეტი მოსაზღვრე მდინარის აუზებისაგან, მათთან დაკავშირებულ მიწისქვეშა წყლებსა და სანაპირო წყლების გავრცელების ფართობებისგან შემდგარი ტერიტორიისა და აკვატორიის ერთობლიობა;

ჟ) ზედაპირული წყლის ობიექტების კატეგორიები - მდინარეები, ტბები, გარდამავალი წყლები, სანაპირო წყლები, ხელოვნური წყლის ობიექტები და ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლები;

რ) ზედაპირული წყლის ობიექტის ტიპოლოგია - ზედაპირულის წყლის ობიექტის ტიპის განსაზღვრა გეოგრაფიული მდებარეობის, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური კრიტერიუმების მიხედვით.

ს) წყლის რესურსების მართვა - წყლის რესურსებით სარგებლობის რეგულირება, აღრიცხვა, მონიტორინგი, და კონტროლი;

ტ) წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა - პროცესი, რომელიც ხელს უწყობს წყლის, მიწის და მათთან დაკავშირებული რესურსების კოორდინირებულ განვითარებას და მართვას ეკონომიური და სოციალური კეთილდღეობის თანაბარი გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, ეკოსისტემების მდგრადობისთვის ზიანის მიუყენებლად;

უ) წყლის რესურსების სააუზო მართვა - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ერთერთი პრინციპი, წყლის რესურსების მართვის სისტემა მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე;

ფ) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ტერიტორიული ერთეული - მდინარის აუზი ან მდინარეების სააუზო უბანი, მათ ფარგლებში გავრცელებული და მასთან ასოცირებული მიწისქვეშა და სანაპირო წყლებით და წარმოადგენს მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის მთავარ ერთეულს;

ქ) ზედაპირული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის დამოუკიდებლად არსებული და მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა ტბა, წყალსაცავი, ნაკადული, მდინარე ან არხი, ან მათი ნაწილი, გარდამავალი წყალი ან სანაპირო წყალი;

ღ) მიწისქვეშა წყლის ობიექტი - მიწისქვეშა წყლის გარკვეული/კონკრეტული მოცულობის შემცველი კომპლექსი, ჰორიზონტი ან მისი ნაწილი (წყალშემცველი შრე, ფენი, უბანი);

ყ) ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის ობიექტი, რომელმაც ადამიანის ქმედებით გამოწვეული გავლენის შედეგად მნიშვნელოვნად

შეიცვალა თავისი ბუნება;

შ) წყლის ხელოვნური ობიექტი - ადამიანის მიერ შექმნილ ზედაპირული წყლის ობიექტი;

ჩ) ზედაპირული წყლის სტატუსი – ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მის ეკოლოგიურ და ქიმიური სტატუსის საფუძველზე;

ც) მიწისქვეშა წყლის სტატუსი - მიწისქვეშა წყლის ობიექტის მდგომარეობის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მიწისქვეშა წყლის როგორც ხარისხობრივი, ასევე, რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით;

ძ) ეკოლოგიური სტატუსი – ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურის და ფუნქციონირების ხარისხის გამოხატულება;

წ) პრიორიტეტული სახიფათო ნივთიერება - ნივთიერება, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის წყლის გარემოს ან მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის ამ წყლის გარემოს საშუალებით და რომელიც უნდა განისაზღვროს მდინარის აუზის მართვის გეგმაში;

ჭ) სახიფათო ნივთიერება - ნივთიერება ან ნივთიერებათა ჯგუფი, რომელიც ხასიათდება ტოქსიკურობით, მდგრადობით ან/და ცოცხალ ორგანიზმებში აკუმულირების უნარით და სხვა ნივთიერებები ან ნივთიერებათა ჯგუფები, რომელთაც შეუძლიათ ექვივალენტური ეფექტის მიღწევა;

ხ) მიწისქვეშა წყლის ხელმისაწვდომი რესურსი - მიწისქვეშა წყლის ობიექტის საექსპლუატაციო რესურსი, რომელიც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული წყლის განახლების (წყალცვლის) საშუალო მრავალწლიურ სიჩქარეზე, ხოლო მისი მოცულობა ნაკლებია იმ განახლებადი ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობაზე, რომელიც საჭიროა მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლების ზემოქმედების შედეგად ეკოლოგიური ხარისხობრივი კონდიციის მისაღწევად, რათა თავიდან იყოს აცილებული ამ წყლების ეკოლოგიური სტატუსის ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუარესება და აგრეთვე ნებისმიერი მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება მასთან დაკავშირებულ ხმელეთის ეკოსისტემებზე;

ჯ) დაბინძურება – ადამიანის საქმიანობის შედეგად ნივთიერებების ან სითბოს გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და ნიადაგში, რაც შესაძლოა საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, წყლის ეკოსისტემებისთვის, რომლებიც დამოკიდებული არიან წყლის ეკოსისტემებზე და იწვევს საკუთრებისთვის ზიანის მიყენებას ან ხელს უშლის გარემოს სიკეთეებით სარგებლობას;

ჰ) გარემოს ხარისხობრივი სტანდარტები – კონკრეტული დამაბინძურებლის ან დამაბინძურებლების ჯგუფის კონცენტრაცია წყალში, სედიმენტებში ან ბიოტაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს იმ დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობას და რომელიც უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოს დაცვისთვის;

ჰ¹) ემისიების (ამ კანონის მიზნებისთვის - ჩაშვების) ზღვრული მნიშვნელობები – მასა, რომელიც გამოხატულია კონკრეტული სპეციფიკური პარამეტრის, კონცენტრაციის და/ან ემისიის ზღვრული მაჩვენებლით, რომლის გადაჭარბებაც არ არის დაშვებული ერთი რომელიმე კონკრეტული (ერთჯერადი) ან მეტი დროის (ხანგრძლივი) პერიოდის განმავლობაში. ემისიების ზღვრული მაჩვენებლები შეიძლება ასევე შემუშავდეს ნივთიერებათა ჯგუფების ან კატეგორიების მიმართ;

ჰ²) სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

- 3³) საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდი - საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა;
- 3⁴) საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა - მიწა, რომელიც დაკავებულია საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდში შემავალი წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე, მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზონად;
- 3⁵) მდინარის/ნაკადის გარემოსდაცვითი ხარჯი - წყლის ნაკადის ოდენობა და ხარისხი, რომელიც საჭიროა გარკვეული გარემოსდაცვითი მიზნების დასაკმაყოფილებლად, ეკოსისტემების და კულტურული ღირებულებების (მაგ. ჩანჩქერების) დაცვის ჩათვლით;
- 3⁶) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვა - სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული ნებართვა, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას, განსაზღვრული ვადით, ამოიღოს წყალი, გარკვეული რაოდენობით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან უამისოდ, წყლის ზედაპირული ობიექტებიდან;
- 3⁷) ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა - სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული ნებართვა, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას, განსაზღვრული ვადით, განახორციელოს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სადრენაჟო, სანიაღვრე და სხვა წყლების ორგანიზებული ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში, ამ წყლების შემადგენლობისთვის დადგენილი ნორმების დაცვით;
- 3⁸) ურბანული ჩამდინარე წყალი - დასახლების სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალი ან დასახლების სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლისა და სამრეწველო ან/და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ნარევი წყალი;
- 3⁹) „წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა - წყალმომარაგების სისტემაში არსებული ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიღებას წყალმომარაგების წყაროდან, საჭიროების შემთხვევაში დანიშნულების შესაბამისად (სასმელი, სარწყავი) წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და მომხმარებელთა შორის გადანაწილებას;
- 3¹⁰) ზემოქმედება - წყლის მდგომარეობის შეცვლა რომელიც გამოწვეულია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობით.
- 3¹¹) წყალშემცველი უბანი - სხვადასხვა ლითოლოგიური შედგენილობის ერთი ან რამოდენიმე გეოლოგიური ფენი, რომლის ამგები ქანების ფიზიკური და წყლოვანი თვისებები (ფორიანობა, ტენიანობა, წყალგამტარებლობა და სხვ.) მიწისქვეშა წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაგროვების ან დინების შესაძლებლობას იძლევა.
- 3¹²) დამაბინძურებელი ნივთიერება - დაბინძურების გამომწვევი ნებისმიერი ნივთიერება. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“;
- 3¹³) რაოდენობრივი სტატუსი - პირდაპირი ან ირიბი წყალაღებით მიწისქვეშა წყლის ობიექტზე გამოწვეული ზემოქმედების დონე.
- 3¹⁴) დაცული ზონა - თითოეული მდინარის აუზის უბანზე მდებარე ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ საგანგებო დაცვას, მათი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების

ან წყალთან უშუალოდ დაკავშირებული ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვისთვის. მათ შორის ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია წყალაღებისთვის მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი წყლის სახეობების დაცვისთვის, აგრეთვე, სარეკრეაციო ტერიტორია და ბიოგენური ნივთიერებების მიმართ მოწყვლადი ტერიტორია.

3¹⁵) წყალდიდობა - წყლით იმ მიწის დორებითი დაფარვა, რომელიც, ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით. ეს მოიცავს მდინარის წყალდიდობას, მთის მდინარის ნაკადებს, ხმელთაშუა ზღვის წყლის ერთდღიან ნაკადებს სანაპირო ზონებში;

3¹⁶) წყალდიდობის რისკი - წყალდიდობის მოვლენის შესაძლებლობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე გაერთიანებაში წყალდიდობასთან ასოცირებული პოტენციური ნეგატიური შედეგების კომბინაცია.³¹⁷) აგლომერაცია - ტერიტორიული არეალს, სადაც საკმარისად არის კონცენტრირებული (თავმოყრილი) მოსახლეობა და/ან ეკონომიკური საქმიანობები და სადაც ადგილი აქვს ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებას და ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში გადაცემას ან საბოლოო განთავსების ადგილში ჩაშვებას.

მუხლი 5. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები

1. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპებია:

ა) წყლის რესურსების კომპლექსური დაცვა და მდგრადი გამოყენება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, წყალმოსარგებლებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე;

ბ) წყლის რესურსების რეგულირების განხორციელება მდინარეთა სააუზო მართვის მექანიზმის გამოყენების გზით.

2. წყლის რესურსებზე ზემოქმედების მქონე სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს ფიზიკური და იურიდიული პირები, ხელისუფლების ორგანოები და სხვა საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გარემოსდაცვითი ძირითადი პრინციპებით.

თავი II

კომპეტენციათა გამიჯვნა წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში

მუხლი 6. წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში კომპეტენტური ორგანოები

1. სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) წყლის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

გ) ქვეყანაში სააუზო მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

დ) სპეციალურ წყალსარგებლობაზე ნებართვების გაცემა;

- ე) წყლის დაცვისა და გამოყენების ერთიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში;
- ვ) წყლის რესურსების ხარისხობრივი, რაოდენობრივი და ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგის ორგანიზება;
- ზ) წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზება, წყალსარგებლობის ანგარიშგების მონაცემების ანალიზი, მონაცემთა ბაზის შექმნა და ოპერირება;
- თ) წყლის რესურსების საინფორმაციო სისტემის ორგანიზება და წყლის რესურსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ი) მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა და საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენა;
- კ) მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ლ) მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- მ) წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა და მისი განხორციელების კოორდინაცია;
- ნ) წყალდიდობების და წყალმოვარდნების რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, რუკებზე დატანის და პროგნოზირების ორგანიზება;
- ო) წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების მომზადება/შემუშავების ორგანიზება;
- პ) ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;
- ჟ) ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება;
- რ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტის შემუშავება;
- ს) წყლის სახელმწიფო ფონდის მიწებზე დაცული ზონების განსაზღვრა;
- ტ) ჰიდრომელიორაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- უ) სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფა;
- ფ) სასმელი წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
- ქ) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავება და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის განხორციელება;
- ღ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგის პროგრამებში ნიტრატების კონცენტრაციების განსაზღვრა.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ბ) ცალკეულ წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობის შეზღუდვის ან აკრძალვის

შესახებ რეკომენდაციის წარდგენა მუნიციპალიტეტებისთვის;

გ) სასმელი წყალმომარაგების წყაროების სანიტარული დაცვის ზონის შექმნის, საზღვრების დადგენის, სარტყლების გამოყოფისა და მათ ფარგლებში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალის და საქმიანობის განხორციელების წესის შემუშავება;

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადება წყალმომარაგების სისტემებისა და ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდისათვის ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

5. მუნიციპალიტეტების კომპეტენციას განეკუთვნება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) წყალმომარაგებასა (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, წყალმომარაგების სისტემებისა და ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდისთვის ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადება;

გ) სააუზო მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

დ) სასმელი წყლის წყაროების სანიტარული დაცვის ზონების პროექტების დამტკიცება.

თავი III

წყლის რესურსები, მათი სამართლებრივი სტატუსი, წყლის ობიექტები და მათი დაცვითი ზონები

მუხლი 7. საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდი

1. საქართველოს წყლის ობიექტები, მათი მიწის ზედაპირზე და წიაღში განლაგების ნიშნით, რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით, იყოფა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებად.

2. ზედაპირულ წყლებს მიეკუთვნება ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი ყველა წყლის ობიექტის წყლები, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წყლებისა.

3. საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ქმნის წყლის სახელმწიფო ფონდს.

4. საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს განეკუთვნება:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები;

ბ) მიწისქვეშა წყლები;

- გ) მცინვარები და თოვლის მუდმივი საფარი;
- დ) ჭაობები;
- ე) საქართველოს ტერიტორიული წყლები;
- ვ) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები;
- ზ) გარდამავალი და სანაპირო წყლები.

მუხლი 8. საკუთრების უფლება წყლის რესურსებზე

1. წყლის რესურსები სახელმწიფო საკუთრებაა.
2. მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან/და გამდინარე ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას, გარდა საერთო წყალსარგებლობისა.

მუხლი 9. წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია, და საზღვრების დადგენა და გამიჯვნა

1. წყლის ობიექტები წარმოადგენენ წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულებს, რომელთა იდენტიფიკაციას და საზღვრების დადგენას, აგრეთვე მდინარის აუზის/სააუზო უბნის მახასიათებელთა ანალიზს ახორციელებს სამინისტრო.
2. წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესი განისაზღვრება „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 10. წყლის ობიექტის დაცვითი ზონა

1. წყლის ობიექტის დაცვით ზონას (წყალდაცვითი ზონა) განეკუთვნება:
 - ა) წყალდაცვითი ზოლი – ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება წყლის ობიექტის აკვატორიას და რომელზეც დადგენილია ამ ტერიტორიის საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი. წყალდაცვით ზოლებს, მათ შორის, მიეკუთვნება მდინარეების, ტბების, წყალსაცავების და შავი ზღვის სანაპირო ზოლები, მაგისტრალური და სხვა არხების გასხვისების ზოლები;
 - ბ) სანიტარიული დაცვის ზონა – ტერიტორია, რომელიც განთავსებულია სასმელი წყლის აღების მიწისქვეშა ან ზედაპირული წყაროს ირგვლივ და რომელზეც დადგენილია ამ ტერიტორიის საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი.
2. წყლის ობიექტის წყალდაცვითი ზოლის საზღვრების დადგენის წესი, მათ შორის, ამ ზოლში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი, საქმიანობის განხორციელების პირობები და რეჟიმი განისაზღვრება “წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
3. სასმელი წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონის შექმნის, საზღვრების დადგენის, სარტყლების გამოყოფისა და მათ ფარგლებში დაშვებული

საქმიანობების ჩამონათვალს და საქმიანობის განხორციელების წესს შეიმუშავებს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 11. წყლის ობიექტის მიწა

1. წყლის ობიექტის (წყლის სახელმწიფო ფონდის) მიწად მიიჩნევა მიწა, რომელიც დაკავებულია წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის დაცვით ზონად.

2. წყლის ობიექტის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, სარწყავი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ასევე, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებისთვის.

თავი IV წყალსარგებლობა

მუხლი 12. წყალსარგებლობის ობიექტი და წყალსარგებლობის სახეები

1. წყალსარგებლობის ობიექტია ამ კანონით განსაზღვრული წყლის ობიექტები.
2. წყალსარგებლობა მოიცავს:
 - ა) საერთო წყალსარგებლობას;
 - ბ) სპეციალურ წყალსარგებლობას.

მუხლი 13. წყალსარგებლობის ზოგადი პირობები

წყალსარგებლობისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- ა) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს დაბინძურებისაგან და დანაგვიანებისაგან საიმედოდ დაცული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელთა ხარისხი, ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;
- ბ) სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლების გამოყენება საწარმოო მიზნით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ტექნოლოგია, არსებული სანიტარიული ნორმებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე, მოითხოვს სასმელად ვარგის წყალს;
- გ) სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ კანონით გათვალისწინებულ, ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების სანებართვო რეჟიმს, წყლის ობიექტებისა და წყალშემკრები აუზების დაბინძურებისაგან დასაცავად, აღჭურვილი უნდა იყვნენ საწარმოს სპეციფიკის შესაბამისი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით (მოწყობილობებით);
- დ) ფიზიკური და იურიდიული პირები, საქონლის გადარეკვისას, ვალდებული არიან

დაიცვან საქონლის გადასარეკ ტრასებზე განლაგებული წყალმომარაგების წყაროები დაბინძურებისა და დაშრეტისაგან, წყალსამეურნეო ნაგებობები და მოწყობილობები დაზიანებისაგან;

ე) წყალმოსარგებლემ მდინარიდან წყლის აღებისას სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვით დადგენილი პირობების შესაბამისად უნდა გაითვალისწინოს მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი მდინარის წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის შენარჩუნების მიზნით;

ზ) წყალმოსარგებლე ვალდებულია, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისას, უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლები, უსაფრთხოების ნორმებისა და არსებული ტექნიკური რეგლამენტების გათვალისწინებით, დაუბრკოლებლად დაუშვას თავის ტერიტორიაზე და მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მათ ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

მუხლი 14. მოსახლეობის დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის განკუთვნილი წყლით

1. წყლის ობიექტები, პირველ რიგში, სარგებლობაში გაიცემა მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. სხვა მიზნებისთვის წყალსარგებლობის პრიორიტეტები განისაზღვრება მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმით.

3. მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით, სამინისტრო შეიმუშავებს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმს და 3 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს ანგარიშს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის მდგომარეობაზე.

მუხლი 15. საერთო წყალსარგებლობა

1. საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება:

ა) არაკომერციული მიზნით, მათ შორის, პირადი (სასმელი, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მსგავსი) მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისეთი ნაგებობების ან/და მოწყობილობების გამოყენების გარეშე, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე;

ბ) ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

3. საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. საერთო წყალსარგებლობა უფასოა.

5. საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისთვის. ამისთვის მუნიციპალიტეტები:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით, განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა;

ბ) სამინისტროს წარდგინებით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც აკრძალულია წყლის აღება სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის, პირუტყვის დარწყულებისთვის

ან/და თევზჭერისთვის.

6. მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვების დადგენისთანავე გამოაქვეყნონ საერთო წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობები.

მუხლი 16. სპეციალური წყალსარგებლობა ზედაპირული წყლის ობიექტებზე

1. ზედაპირულ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობა არის წყალსარგებლობა ისეთი ნაგებობების ან/და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე. წყლის მდგომარეობაზე არსებით გავლენად ითვლება:

ა) წყლის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარე წყლების ჩაშვება;

ბ) წყლის ობიექტიდან წყალაღება დღე-ღამეში 10 (ათი) მ³-ზე მეტი ოდენობით.

2. სპეციალური წყალსარგებლობა ზედაპირული წყლის ობიექტებზე, ამ კანონის შესაბამისად, ხორციელდება შემდეგი სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვების საფუძველზე:

ა) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვა;

ბ) ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა.

გ) ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვა;

3. ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვა მის მფლობელს ანიჭებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების უფლებას.

4. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალურ წყალსარგებლობას ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვების გარეშე. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელის წყალსარგებლობის ვადა განისაზღვრება ამ კანონის 21-ე მუხლით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.

5. ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალურ წყალსარგებლობას ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვების გარეშე. ამ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის წყალსარგებლობის ვადა და პირობები განისაზღვრება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით.

მუხლი 17. ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები

1. ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის შესაბამისად, გარდა ამ

კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემს სამინისტრო.

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, წყალაღების ნებართვის მისაღებად წარსადგენ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) საქმიანობის მოკლე ტექნიკური (ტექნოლოგიური) დახასიათება;

ბ) წყალსარგებლობის პარამეტრები;

გ) წყალსადენის სისტემის სქემატური გეგმა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა წყლის აღების წერტილების კოორდინატების, წყალსადინარების მოხაზულობის დატანით;

ე) წყალსარგებლობისთვის გამიზნული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური და ხარისხობრივი (ჰიდროქიმიური და ჰიდრობიოლოგიური) დახასიათება.

4. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვის მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (შემდგომში - ზდჩ) ნორმების პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ თავებს:

ა) წყალსარგებლობისთვის გამიზნული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური და ხარისხობრივი (ჰიდროქიმიური და ჰიდრობიოლოგიური) დახასიათება;

ბ) მოკლე ცნობები წყალმოსარგებლე ობიექტის შესახებ (საწარმოს სიმძლავრე, ტექნოლოგიური პროცესების, გამოყენებული ნედლეულის და გამოშვებული პროდუქციის დახასიათება, მუშაობის რეჟიმი და ა.შ.)

გ) ობიექტში წყლის გამოყენების დახასიათება, ჩამდინარე წყლების წყაროების აღწერა ჩაშვების წერტილის კოორდინატების მითითებით, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები;

დ) გამწმენდ ნაგებობათა სიმძლავრე და გაწმენდის პარამეტრები;

ე) ზდჩ-ის ნორმების გაანგარიშება;

ვ) ჩამდინარე წყლების ავარიული ჩაშვების თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებები;

ზ) ზდჩ-ის ნორმების დაცვაზე კონტროლი (წყლის გამოყენებისა და ჩაშვების აღრიცხვის ხერხები, ჩამდინარე წყლის ხარისხის საკონტროლო პარამეტრები და სინჯების აღების პერიოდულობა);

თ) ზდჩ-ის ნორმების მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა გეგმა.

5. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ზედაპირული წყლის ობიექტში კომბინირებული ნებართვის მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მუხლი 18. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვა არ გაიცემა, თუ:

- ა) დარღვეულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარემოსდაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
- ბ) გაირკვა, რომ წყალმოსარგებლის მიერ ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს;
- გ) წყალსარგებლობის ობიექტს არ გააჩნიათ სათანადო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის დაბინძურების, დანაგვიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას.

მუხლი 19. ნებართვის გაცემაზე უარის გასაჩივრება

ნებართვის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

მუხლი 20. სანებართვო მოწმობის ფორმა

სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

მუხლი 21. ზედაპირულ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის მოქმედების ვადა

1. ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვები გაიცემა არაუმეტეს 5 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა:
 - ა) საირიგაციო სისტემების წყალმომარაგებისათვის გაიცემა არაუმეტეს 15 წლის ვადით;
 - ბ) ჰიდროელექტროსადგურების წყალსარგებლობისთვის გაიცემა არაუმეტეს 30 წლის ვადით;
 - გ) მოსახლეობის ცენტრალიზებული სასმელი წყლით წყალმომარაგებისათვის გაიცემა არაუმეტეს 30 წლის ვადით.

თავი V

წყლის რესურსების მართვის სისტემა

მუხლი 22. წყლის რესურსების მართვის სისტემა

1. წყლის რესურსების მართვის სისტემა აერთიანებს წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის დაგეგმვისა და მართვის მექანიზმებს ეროვნულ დონეზე და მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების დონეზე.
2. წყლის რესურსების მართვა ხორციელდება სააუზო მართვის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 23. წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის მექანიზმი ეროვნულ დონეზე

1. ეროვნულ დონეზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის საფუძველს წარმოადგენს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს და განხორციელების კოორდინაციას უწევს სამინისტრო.
2. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე წყლის რესურსების მართვის ძირითად პრიორიტეტებსა და განსახორციელებელ ქმედებებს.

მუხლი 24. მდინარეთა აუზებისა და სააუზო უბნების განსაზღვრა

1. მდინარეთა აუზები/სააუზო უბნები განისაზღვრება “მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. მდინარეთა აუზის/სააუზო უბნის განსაზღვრა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:
 - ა) ნებისმიერი ზედაპირული წყლის ობიექტი, მიწისქვეშა და სანაპირო წყლები უნდა მიეკუთვნებოდეს მდინარეთა კონკრეტულ აუზს ან სააუზო უბანს;
 - ბ) შესაძლებელია მდინარეთა აუზების სხვა მდინარეთა აუზებთან ერთად ერთ სააუზო უბნად განსაზღვრა;
 - გ) მდინარის აუზის ფარგლებში გავრცელებული მიწისქვეშა წყალი მიეკუთვნება აღნიშნულ აუზს.
 - დ) თუ მიწისქვეშა წყლების მდებარეობა ზუსტად არ ემთხვევა მდინარის აუზის მდებარეობას, უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება და ასოცირება ყველაზე ახლომდებარე ან ყველაზე შესაფერის აუზთან;
 - ე) სანაპირო წყლების მიკუთვნება ხდება მათთან ყველაზე ახლომდებარე ან ყველაზე შესაფერის აუზთან.

მუხლი 25. წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის მექანიზმი მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების დონეზე

1. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების დონეზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის საფუძველს წარმოადგენს მდინარეთა/სააუზო უბნების სააუზო მართვის გეგმები.
2. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
3. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავებას უზრუნველყოფს სამინისტრო.
4. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმებს, დაინტერესებულ

უწყებებთან შეთანხმების შემდეგ, სამინისტრო დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

5. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის თითოეული გეგმა, საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, განხილული უნდა იქნეს ტერიტორიული პრინციპით შექმნილი სააუზო მართვის შესაბამისი საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს მიერ. სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოები წარმოადგენენ სამინისტროსთან არსებულ სათათბირო ორგანოებს, რომელთა შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს მინისტრი.

6. სააუზო მართვის უბნების განახლება ხდება 6 წელიწადში ერთხელ.

მუხლი 26. წყლის ობიექტების კლასიფიკაცია

1. წყლის ცალკეულ კატეგორიაში შემავალი წყლის ყველა ობიექტის კლასიფიკაცია წარმოებს მათი ტიპური მახასიათებლების (ტიპოლოგიის) და წყლის სტატუსის მიხედვით.

2. ზედაპირული წყლის ობიექტების კლასიფიკაციის პროცესში, მათ ტიპურ მახასიათებლებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს წყლის ჰიდრობიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური, ხოლო მიწისქვეშა წყლის ობიექტებისთვის - წყლის რაოდენობრივი და ქიმიური მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სტატუსს.

3. ხელოვნური და ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლის ობიექტების დიფერენციაცია წარმოებს ზედაპირული წყლის ნებისმიერ კატეგორიას მიკუთვნებული, მათთან ყველაზე მეტად დაახლოებული ზედაპირული წყლების მახასიათებლებიდან გამომდინარე.

4. ეკოლოგიური სტატუსიდან გამომდინარე, რომელსაც განსაზღვრავს წყლის ობიექტების ბიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, ზედაპირული წყლის ობიექტები კლასიფიცირდება შემდეგი სტატუსის მქონე ობიექტებად:

ა) მაღალი;

ბ) კარგი;

გ) დამაკმაყოფილებელი (საშუალო);

დ) ცუდი;

ე) ძალიან ცუდი.

5. ქიმიური სტატუსიდან გამომდინარე, ზედაპირული წყლის ობიექტები კლასიფიცირდება შემდეგი სტატუსის მქონე ობიექტებად:

ა) კარგი;

ბ) ცუდი.

6. მიწისქვეშა წყლის სტატუსიდან გამომდინარე, მიწისქვეშა წყლები კლასიფიცირდება:

ა) კარგი რაოდენობრივი სტატუსის მქონე მიწისქვეშა წყლის ობიექტად;

ბ) ცუდი რაოდენობრივი სტატუსის მქონე მიწისქვეშა წყლის ობიექტად;

გ) კარგი ქიმიური სტატუსის მქონე მიწისქვეშა წყლის ობიექტად;

დ) ცუდი ქიმიური სტატუსის მქონე მიწისქვეშა წყლის ობიექტად.

8. ძლიერ მოდიფიცირებული ან ხელოვნურად შექმნილი წყლის ობიექტები კლასიფიცირდება შემდეგი ეკოლოგიური პოტენციალის მქონე, ძლიერ მოდიფიცირებულ ან ხელოვნურ წყლის ობიექტებად:

ა) მაღალი,

ბ) კარგი,

გ) დამაკმაყოფილებელი,

დ) ცუდი,

ე) ძალიან ცუდი ეკოლოგიური პოტენციალის მქონე, ძლიერ სახეშეცვლილ ან ხელოვნურ წყლის ობიექტებად.

9. ყველა ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის განისაზღვრება ტიპური ფონური ჰიდრომორფოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური და ბიოლოგიური პირობები, რომლებიც შეესაბამება მაღალი ეკოლოგიური სტატუსის ან ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტების შემთხვევაში - მაქსიმალური ეკოლოგიური პოტენციალის მქონე ამავე ტიპის წყლის ობიექტების შესაბამის მაჩვენებლებს, რაც წამოადგენს წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტის დადგენის საფუძველს. მაქსიმალური ეკოლოგიური პოტენციალის მქონე ზედაპირული წყლების ფონური მაჩვენებლების გადახედვა წარმოებს ყოველ 6 წელიწადში.

10. წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტი არის კონკრეტული დამბინძურებლის ან/და დამბინძურებელთა ჯგუფის ზღვრული კონცენტრაცია წყალში ან ნალექში, რომლის გადამეტება დაუშვებელია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

11. წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტები განისაზღვრება “წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 27. სხვადასხვა კატეგორიის წყლების წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის მიზნობრივი მაჩვენებლები

1. თითოეული ზედაპირული წყლის ობიექტისთვის, რომელიც ხასიათდება წყლის საშუალო, ცუდი ან ძალიან ცუდი სტატუსით, დგინდება წყლის სტატუსის მიზნობრივი მაჩვენებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წყლის ობიექტი განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას ან მისი ბუნებრივი მდგომარეობა იმგვარია, რომ შეუძლებელია წყლის კარგი სტატუსის მიღწევა, ან მოითხოვს არაადექვატურ დანახარჯს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების დასახვა და წყლის სტატუსის შემდგომი გაუარესების თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება.

2. თითოეული ზედაპირული წყლის ობიექტისთვის მიზნობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი „წყლის კარგი სტატუსი“, „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ და „კარგი ქიმიური სტატუსის“ ჩათვლით, ხოლო ძლიერ სახეშეცვლილ ან/და ხელოვნური წყლის ობიექტებისთვის - „კარგი ეკოლოგიური პოტენციალი“ და „კარგი ქიმიური სტატუსი“.

3. თითოეული მიწისქვეშა წყლის ობიექტისათვის, რომელიც ხასიათდება წყლის ცუდი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტატუსით, დგინდება წყლის სტატუსის მიზნობრივი მაჩვენებლები.

4. თითოეული მიწისქვეშა წყლის ობიექტისათვის მიზნობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი კარგი რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსი.

მუხლი 28. წყლის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამები

1. წყლის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამები მოიცავენ:

- ა) დაბინძურების თანმიმდევრულ შემცირებას და ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებების ემისიების შეწყვეტის ღონისძიებებს;
 - ბ) წყლის ობიექტების მიერ მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებებს;
 - გ) მაღალი სტატუსის ზედაპირული წყლებისა და მაქსიმალური ეკოლოგიური პოტენციალის მქონე ძლიერ სახეშეცვლილი ან ხელოვნური წყლის ობიექტების წყლის სტატუსის შენარჩუნების ღონისძიებებს;
 - დ) მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის შემთხვევაში წყლის სტატუსის შენარჩუნების, ხოლო რიგ შემთხვევებში, მისი მაღალ ეკოლოგიურ სტატუსამდე შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს;
 - ე) ადამიანის საქმიანობით გამოწვეული მიწისქვეშა წყლების დაბინძურების ზრდის ნებისმიერი მნიშვნელოვანი და მდგრადი ტენდენციის აღკვეთის სპეციალურ ღონისძიებებს;
 - ვ) მიწისქვეშა წყლები კარგი რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსის შენარჩუნების ღონისძიებებს;
 - ზ) არსებული წყლის დაცვის მოთხოვნათა განხორციელების ღონისძიებებს;
 - თ) წყლის ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს;
 - ი) სასმელი წყლის ხარისხის დაცვის ღონისძიებებს;
 - კ) დაბინძურების წერტილოვანი და დიფუზური წყაროების კონტროლის ღონისძიებებს;
 - ლ) სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მნიშვნელოვანი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ.
2. კონკრეტული წყლის ობიექტისთვის რამდენიმე შესაძლო მიზნობრივი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში იგეგმება მათ შორის უმკაცრესის მიღწევის ღონისძიებები.

მუხლი 29. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმა

- 1. სამინისტრო ორგანიზებას უწევს მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავებას და აღნიშნული გეგმების პროექტების განხილვასა და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენას.
- 2. სააუზო მართვის გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
- 3. მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:
 - ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ზოგადი დახასიათება;
 - ბ) ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერა;

- გ) წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების ზონების ჩამონათვალი და რისკების მართვის პროგრამა;
- დ) დაცული ზონების საზღვრების ამსახველი რუკა;
- ე) ეკოლოგიური სტატუსების დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა;
- ვ) ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცულ ზონებზე არსებული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის გამონაკლისების დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას;
- ზ) წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვა;
- თ) გარემოსდაცვით მიზნების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის მიმოხილვას;
- ი) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის- ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ქონდეთ გავლენა სააუზო ტერიტორიულ ერთეულში არსებულ წყლის ობიექტზე;
- კ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ;
- ლ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის კომპეტენტური ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და ამ დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურა.
4. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის განხორციელების მოქმედებათა/ღონისძიებათა პროგრამა, რომლითაც უნდა განისაზღვროს გეგმის განხორციელების ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ასპექტები.
- მუხლი 30. საზოგადოების მონაწილეობა მდინარეთა აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში**
1. სამინისტრო უზრუნველყოფს მდინარის აუზის/სააუზო უბანთან დაკავშირებით ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნებას და მოსაზრებების მიღების მიზნით მისი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას:
- ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შექმნისთვის საჭირო განრიგი და სამუშაო პროგრამა, იმ საკითხების მითითებით, რომლებზეც გაიმართება საჯარო განხილვა;
- ბ) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვის წესი და მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტი.
2. სამინისტრო უზრუნველყოფს:
- ა) მოთხოვნის საფუძველზე, მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტის

ჩამოყალიბებისას გამოყენებული ძირითადი დოკუმენტების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ბ) წერილობითი ფორმით მოსაზრებების მიღებას და საჯარო განხილვის მოწყობას.

3. ინფორმაციის გამოქვეყნების, დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმს ადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილება „*მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ*”.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები ასევე ვრცელდება მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის განახლებული გეგმაზეც.

თავი VI წყლის რესურსების დაცვა და აღდგენა

მუხლი 31. წყლის რესურსების დაცვისა და აღდგენის ძირითადი მოთხოვნები

1. წყლის ობიექტების დაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტის და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით, აკრძალულია:

ა) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ნებისმიერი სახის ჩამდინარე წყლებით;

ბ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად დამაბინძურებელი ნივთიერებათა ჩაშვება თუ არ არის დაცული წყალჩაშვებაზე ნებართვით დადგენილი პირობები;

გ) ნარჩენების ჩაყრა, განთავსება და დამარხვა სანაპირო წყლებში, წყლის სხვა ობიექტებში და მათი დაცვის ზონებში;

დ) წყალსაცავის ავსება, ვიდრე არ განხორციელდება მისი ქვაბურის მოსამზადებლად გათვალისწინებული ღონისძიებები;

ე) მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ამოღება, თუ ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლის დონის დასაშვებზე დაბლა დაწევა ან/და წყლის ობიექტის დაშრეტა (მიწისქვეშა წყლების ამოღება, თუ ამან შეიძლება გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლის ობიექტის ბალანსის დარღვევა);

ვ) მდინარეებიდან წყლის ამოღება, ჰიდროტექნიკური და საწარმოო ობიექტების მშენებლობა/ექსპლუატაცია, სარწყავი სისტემების მოწყობა/ექსპლუატაცია და სხვა მიზნით წყალაღება მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის გათვალისწინების გარეშე; ზ) წყლის დანაგვიანება და დაბინძურება ზეთის, მერქნის, ქიმიური პროდუქტების, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა პროდუქტების დანაკარგებით წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან;

თ) ხე-ტყის დაცურება;

ი) ისეთი საქმიანობა, რამაც შესაძლოა დააზიანოს წყალამღები ნაგებობა, გააუარესოს წყლის ხარისხი და შეამციროს წყლის დებიტი.

მუხლი 32. მოთხოვნები ურბანული ჩამდინარე წყლის გამწმენდასთან დაკავშირებით

1. ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების პირობები განისაზღვრება „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვების სისტემებში და გამწმენდ ნაგებობებზე შემავალი საწარმოო ჩამდინარე წყლების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს:
 - ა) აღნიშნული სისტემებისა და გამწმენდ ნაგებობების მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას;
 - ბ) აღნიშნული სისტემების, გამწმენდი ნაგებობების და შესაბამისი აღჭურვილობის დაცვას დაზიანებისაგან;
 - გ) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების შეუფერხებელ მუშაობას, გაწმენდის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას და ნალექის გაუვნებელყოფას;
 - დ) ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების დაცვას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებას.
3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები არ არის დაცული, აუცილებელია საწარმოო ჩამდინარე წყლების შესაბამისი წინასწარი გაწმენდა.
4. ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვების სისტემებში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ხარისხის ტექნიკური პირობები განისაზღვრება „დასახლების საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილებით.

თავი VII

წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების კონტროლი

მუხლი 33. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლს კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ:
 - ა) სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი);
 - ბ) სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო);
 - გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტო (შემდგომში, სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო).
2. დეპარტამენტი ახორციელებს:
 - ა) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების, ზედაპირული წყლის ობიექტში

წყალჩაშვების და ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვების პირობების შესრულების კონტროლს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წყლის რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

გ) წყლის რესურსების დაბინძურების ფაქტების პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას.

3. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს:

ა) სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლს;

ბ) სასმელი წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

4. სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო ახორციელებს:

ა) მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის ლიცენზიების გაცემას და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვას და კოორდინაციას;

ბ) მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს.

თავი VIII

წყლის რესურსების მონიტორინგისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა

მუხლი 34. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა

1. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების ჰიდროლოგიურ, ჰიდროქიმიურ, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე რეგულარული დაკვირვებისა და ინფორმაციის ანალიზის ერთიან სისტემას, რომლის მიზანია წყლისა და მისი ობიექტების მდგომარეობის, მისი გარემოსთან (ბუნებრივ და ანთროპოგენულ) ურთიერთქმედების, აუზში მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების, საშიში და კატასტროფული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღება, რისკ-ფაქტორების ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება.

2. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა მოიცავს მონიტორინგის ერთიან ეროვნულ ქსელს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ჰიდროქიმიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის პროგრამები.

3. წყლის სახელმწიფო მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“.

4. წყლის სახელმწიფო მონიტორინგის პროგრამას ყოველწლიურად შეიმუშავენ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ და ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 35. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა

1. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვას ექვემდებარება ფიზიკური და იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა, თუ ამ საქმიანობას თან ახლავს წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლის ჩაშვება ან/და წყლის ობიექტებიდან დღე-ღამეში 1 მ³-ზე

მეტი წყლის აღება.

2. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვას აწარმოებს სამინისტრო.

3. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესი და პირობები დგინდება „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოში წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

თავი IX

წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის მექანიზმები

მუხლი 36. წყლის უარყოფითი ზემოქმედების სახეები

წყლის უარყოფითი ზემოქმედების სახეებია:

- ა) წყალდიდობა, დატბორვა და ნიადაგის წყლით გაჟღენთვა (გაბეღება);
- ბ) ნაპირების რეცხვა, ნაპირდამცავი ჯებირების და სხვა ნაგებობათა ნგრევა;
- გ) მიწების დაჭაობება;
- დ) ნიადაგის წყლისმიერი ეროზია.

მუხლი 37. წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვა

1. წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვა ხორციელდება წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების ზონების იდენტიფიკაციითა და წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით.
2. წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამები წარმოადგენს მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 38. წყალდიდობების რისკების მართვა

1. სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ, ახორციელებს წყალდიდობების რისკების წინასწარ შეფასებას ყველა მდინარის სააუზო უბნისთვის და განსაზღვრავს არეალებს, სადაც არსებობს წყალდიდობების პოტენციური მნიშვნელოვანი რისკი.
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ამზადებს წყალდიდობების საფრთხის და წყალდიდობების რისკის რუკებს ყველა არეალისთვის, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც წყალდიდობების პოტენციური მნიშვნელოვანი რისკის არეალი. ეს რუკები განსაზღვრავს ზონებს წყალდიდობის საშუალო ალბათობით (სულ მცირე ერთი მოვლენა 100 წელიწადში) და ზღვრულ შემთხვევებს ან მცირე ალბათობის შემთხვევებს. იმ ზონებში, რომლებიც აღნიშნულია როგორც რისკის ზონები, აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს პოტენციური რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა და ეკონომიკური საქმიანობის და გარემოს დაზიანების პოტენციური რისკი რუკების განახლება უნდა მოხდეს ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.

3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს წყალდიდობების რისკების მართვის გეგმებს, რომელთა განახლება უნდა მოხდეს ყოველ 6 წელიწადში ერთხელ. წყალდიდობების რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.
4. წყალდიდობების მართვის გეგმების შეიმუშავების წესი განისაზღვრება „წყალდიდობების მართვის გეგმების შეიმუშავების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი X

ეკონომიკური მექანიზმები

მუხლი 39. წყლის მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური მექანიზმები

1. წყლის მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური მექანიზმები ეფუძნება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ „ფასიანი ბუნებათსარგებლობის“ პრინციპს.
2. „ფასიანი ბუნებათსარგებლობის“ პრინციპის განხორციელებისთვის წყალსარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და რესურსის სარგებლობის ხარჯები გათვალისწინებული იქნება ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მოსაკრებლების დადგენისას.
3. სპეციალური წყალსარგებლობის ფორმით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შემთხვევაში წყალმოსარგებლე იხდის მოსაკრებელს, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლების ოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამით ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით მიზნების განხორციელებას.
6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები აგრეთვე ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებლებზე.

თავი XI

პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 40. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

1. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისგან.
3. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ამ კანონის დარღვევით გარემოზე მიყენებული ზიანი, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 41. მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების მიღება:

ა) 2019 წლის 1 ივლისამდე - „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) 2019 წლის 31 დეკემბრამდე:

ბ.ა) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

ბ.ბ) „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე“;

ბ.გ) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ.დ) „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

ბ.ე) „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

გ) 2020 წლის 31 დეკემბრამდე:

გ.ა) „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

გ.ბ) „სასმელი წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;

გ.გ) „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“;

გ.ე) „დასახლების საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

დ) 2021 წლის 31 დეკემბრამდე - “წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე”

ე) „წყალდიდობების მართვის გეგმების შემუშავების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:

ა) 2019 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს ბრძანება „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) 2019 წლის 31 დეკემბრამდე გამოსცეს ბრძანება „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის თაობაზე“.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) 2019 წლის 1 სექტემბრამდე - ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;

ბ) 2022 წლის 1 სექტემბრამდე:

ბ.ა) ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არელებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება;

ბ.ბ) მიწისქვეშა წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) 2020 წლის 1 სექტემბრამდე - ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდის მდგომარეობის შეფასება;

ბ) 2022 წლის 1 სექტემბრამდე ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამის შემუშავება.

მუხლი 42. წყალსარგებლობისთვის გათვალისწინებული ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციაში გადაცემის ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება

წყალმოსარგებლე ობიექტები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ კანონით გათვალისწინებულ სანებართვო რეჟიმს და რომელთა დაპროექტება, მშენებლობა ან ექსპლუატაციაში გადაცემა მოხდა ან დაიწყო „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, ვალდებული არიან, „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან 24 თვის განმავლობაში, უზრუნველყონ ამ მოთხოვნების შესრულება, ხოლო ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა - 2024 წლამდე.

მუხლი 43. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი პირების, ასევე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მფლობელი პირების მიერ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება

პირები, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ახორციელებენ სპეციალურ წყალსარგებლობას, ვალდებული არიან აიღონ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა სანებართვო რეჟიმის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 44. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტებთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება

„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილების საფუძველზე ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების შეთანხმება ათავისუფლებს წყალმოსარგებლეს ამ კანონით განსაზღვრული წყალაღების ნებართვის აღების ვალდებულებისაგან აღნიშნული შეთანხმების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 45. სამელიორაციო დამშრობი სისტემების მომსახურე სუბიექტების მიერ ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვის აღებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება

1. ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა) მოქმედება სამელიორაციო დამშრობი სისტემების მომსახურე სუბიექტებზე (ოპერატორი სუბიექტები) გავრცელდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

2. სამელიორაციო დამშრობი სისტემებით, ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალჩაშვებისათვის, ნაგებობების ან/და ტექნიკური საშუალებების მოწყობის საჭიროება განისაზღვრება საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს/პირების მიერ, სამელიორაციო დამშრობი სისტემის მფლობელის მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული ანალიზების შედეგების საფუძველზე მომზადებული დასკვნით.

თავი XIII დასკვნითი დებულებანი

მუხლი 46. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხდდეს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, #44, 11.11.1997, გვ.123).

მუხლი 47. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-16-21-ე მუხლებისა და 39-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-16-21-ე მუხლები და 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

**განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე**

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2013 წლის 25 მარტს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება (კანონის 93-ე მუხლის „ჰ.ე“ ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას დაევალა, 2014 წლის 1 იანვრამდე, „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენა. ამავე ცვლილებით განისაზღვრა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მიღებით წყალსარგებლობის სფეროში შესაბამისი უფლებააღმჭურველი აქტების აღების ვალდებულების აღდგენა. ასევე, კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს, ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის მუხლი 306, დანართი XXVI (გარემოს დაცვა, 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/ დირექტივა „წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ“, 2455/2001/ გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად) ვალდებულებების შესრულება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლების და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის ძირითადი საფუძველის ჩამოყალიბება, რომელიც:

(ა) არ უშვებს შემდგომ გაუარესებას, იცავს და აუმჯობესებს წყლის ეკოსისტემების სტატუსს და წყალზე საჭიროებიდან გამომდინარე, წყლის ეკოსისტემებზე უშუალოდ დამოკიდებული, ხმელეთის ეკოსისტემებისა და ჭარბტენიანი ადგილების მდგომარეობას.

(ბ) ხელს უწყობს წყლის მდგრად გამოყენებას ხელმისაწვდომი რესურსების ხანგრძლივი დაცვის საფუძველზე.

(გ) მიზნად ისახავს წყლის რესურსების ინტენსიურ დაცვასა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების, ემისიის და დანაკარგების ეტაპობრივ შემცირებისა და პრიორიტეტული სახიფათო ნივთიერებების ჩაშვების თავიდან აცილებასა და ლიკვიდაციის გზით.

(დ) უზრუნველყოფს მიწისქვეშა წყლების დაბინძურების ეტაპობრივ შემცირებას და იცავს მას შემდგომი დაბინძურებისაგან.

(ე) მიიზნად ისახავს წყლის რესურსების დაცვის და წყლის რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების დადგენას და აღნიშნულ სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

წყლის სფეროში დღეისათვის მოქმედი ძირითადი საკანონმდებლო აქტის, 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებული „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის სამართლებრივი ნორმების უმეტესობა ამჟამად მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს, რაც შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული:

- „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად არეგულირებს ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებულ ასპექტებს და ფაქტიურად რეგულირების გარეშე ტოვებს მიწისქვეშა წყლების რესურსებსა და სანაპირო წყლებს;

- 2007 წლიდან თანამიმდევრულად ხდებოდა წყლის დაცვისა და რაციონალური გამოყენების სამართლებრივი ნორმების გაუქმება და აღნიშნული სფეროს ფაქტობრივად რეგულირების გარეშე დატოვება.

წყლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტიურად არ რეგულირდება წყლის ბუნებრივი რესურსების მართვასთან, აგრეთვე, წყლის ობიექტების სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები. არასრულფასოვნად რეგულირდება წყლის რესურსების დაცვისა და წყლით რაციონალური სარგებლობის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის წყალსარგებლობის მთელი რიგი ფორმები (მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება), ჩამდინარე წყლებით წყლის ობიექტების დაბინძურება (წყალჩაშვება) და სხვ.

ამჟამად წყლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა შედგება სამი ძირითადი ბლოკისაგან – წყლის სფეროს უშუალოდ მარეგულირებელი (სპეციალური) კანონმდებლობისგან, გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისაგან და დარგობრივი კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში (მიწათსარგებლობა, საზღვაო სივრცე, ნაპირების საინჟინრო დაცვა, მიწების მელიორაცია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და სხვ.) მოქმედი სამართლებრივი ნორმებისგან. არსებითად, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები განაპირობებენ წყლის სფეროში ახალი სისტემატიზირებული საკანონმდებლო აქტის მიღების აუცილებლობას. შესაბამისად, კანონპროექტის მიღება, წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების კანონმდებლობის სისტემის ფორმირებისათვის სისტემატიზირებული სამართლებრივი საფუძვლის შექმნის გზით, ხელს შეუწყობს საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების საქმეს, რაც თავის მხრივ, მომავალში სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების ზრდის პირობებში, შექმნის ბუნებრივი გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – წყლის მდგრადი გამოყენებისა და იმავდროულად წყლის რესურსების დეგრადაციის პროფილაქტიკის, შემცირებისა და მინიმუმისაგან სამართლებრივ წინაპირობებს.

წყლის სფეროში ძირეული გაუმჯობესების მიღწევა მხოლოდ ამ სფეროს მიზანმიმართული და თანმიმდევრული რეფორმირებით არის შესაძლებელი. ამგვარმა რეფორმამ კომპლექსურად უნდა მოიცვას წყლის რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი – სტრატეგიული, სამართლებრივი, ნორმატიულ-ტექნიკური, ინსტიტუციონალური, ადმინისტრაციული და ფინანსური. ამასთან, რეფორმა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უნდა დაეყრდნოს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც გულისხმობს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების დანერგვას.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მიზანს წარმოადგენს გრძელვადიან პერიოდში წყლის რესურსების გაუმჯობესებული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფის გზით:

- საქართველოს წყლის რესურსების გარემოსდაცვითი ფასეულობებისა და ფუნქციების შენარჩუნება;
- წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- უსაფრთხო სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა;
- წყალდიდობების პრევენცია და მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება.

კანონპროექტის მიხედვით წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- წყლის რესურსების მდინარეთა სააუზო მართვის მექანიზმის დანერგვა და შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა;
- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა;
- ხელისუფლების ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წყლის რესურსების ინტეგრირებული დაგეგმვის და მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების დანერგვა.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპები სრულყოფილად და თანმიმდევრულად ევროკავშირის წყლის კანონმდებლობაში იქნა ასახული. კანონპროექტით, სწორედ წყლის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის საკვანძო ნორმებია წარმოდგენილი.

კანონპროექტი შედგება 4 კარისა (I კარი ზოგადი ნაწილი, II კარი ძირითადი ნაწილი, III კარი გარდამავალი ნაწილი და IV კარი დასკვნითი ნაწილი) და 13 თავისაგან, პირველ თავში ასახულია პროექტის ზოგადი დებულებები (მიზანი, საგანი, სფერო, ტერმინთა განმარტებები, პრინციპები). მე-2 თავში განსაზღვრულია წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის სფეროში სხვადასხვა სუბიექტების, უწყებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები. მე-3 თავი შეიცავს წყლის რესურსების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ, ასევე, წყლის ობიექტების და მათი დაცვის ზონების მარეგულირებელ ნორმებს. მე-4 თავში მოცემულია წყალსარგებლობასთან დაკავშირებული დებულებები, განმარტებულია საერთო და სპეციალური წყალსარგებლობა, დადგენილია წყალსარგებლობის პრინციპები, სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები და ა.შ. მე-5 თავი ეხება წყლის რესურსების მართვის სისტემას და მასში დარეგულირებულია ისეთი საკითხი, როგორცაა წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, წყლის ხარისხის მაჩვენებლები, წყლის ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესების ღონისძიებები, მდინარის აუზის მართვის გეგმის მარეგულირებელი ნორმები, მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებაში საზოადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. მე-6 თავი ეხება წყლის რესურსების დაცვისა და აღდგენის საკითხებს. მე-7 თავი - წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების კონტროლს. მე-8 თავში ასახულია წყლის რესურსების მონიტორინგისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის საკითხები. მე-9 თავი ადგენს წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის მექანიზმებს, ხოლო მე-10 თავი ეხება წყლის რესურსების გამოყენების სფეროში არსებულ ეკონომიკურ მექანიზმებს. კერძოდ, დგინდება, რომ სპეციალური წყალსარგებლობისთვის (წყალალბა), ფასიანი ბუნებათსარგებლობისა პრინციპიდან გამომდინარე, პირები გადაიხდიან შესაბამის მოსაკრებლებს. მე-11 თავით განისაზღვრება პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის. მე-12 თავი განსაზღვრავს კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც უნდა იქნენ მიღებული ამ კანონის

საფუძველზე. ასევე შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რაც დაკავშირებულია წყალმოსარგებლების მიერ გარკვეული ვალდებულებები შესრულებასთან დაკავშირებით. მე-13 თავში ასახულია კანონის დასკვნით დებულებები (კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შესაბამისი ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება, კანონის ამოქმედება).

კანონპროექტით გათვალისწინებულ, მისაღებ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ინტეგრირებული იქნება მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები და ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები, რომლებიც დაარეგულირებენ სააუზო მართვის გეგმების სტრუქტურასთან, შინაარსთან და შედგენასთან, წყლის მდგომარეობის სტატუსთან დაკავშირებულ და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

კანონპროექტით დადგენილი ნორმების ამოქმედებამ, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს:

- ზედაპირული წყლების ხარისხის დეგრადაციის აღკვეთა; ზედაპირული წყლის ობიექტების დაცვა, გაუმჯობესება და აღდგენა. წყლის სათანადო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ჩამდინარე წყლებით გამოწვეული დაბინძურების შემცირება;

- მიწისქვეშა წყლების დაცვა, ხარისხის გაუმჯობესება და აღდგენა. მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა და დეგრადაციის აღკვეთა. მიწისქვეშა წყლების მოხმარებასა და თვითაღდგენას შორის ბალანსის უზრუნველყოფა;

- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მეთოდების დანერგვა მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე;

- სრუყოფილი მონიტორინგის სისტემის ფორმირება და წყლის სფეროში მონაცემთა ინტეგრირებული ინფორმაციული სისტემის შექმნა;

- წყლის სფეროში კანონპროექტით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება.

მთლიანობაში, წყლის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის სფეროში ე.წ. „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ პრინციპის შეცვლას „ინდივიდუალური პასუხისმგებლობის“ პრინციპით და აგრეთვე, მოსახლეობისა და სხვა წყალმომხმარებელთა სათანადო ხარისხის წყლითა და წყლის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის გზით – საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების ოპტიმალური თანაფარდობისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების საქმეს.

გარდა ამისა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების თვალსაზრისით მიუღებელი და რესურსტევადი ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდვას და შესაბამისად, შექმნის სამართლებრივ ბარიერს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნის ხვედრი - გახდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მიუღებელი მეთოდებით მოპოვებული ბუნებრივი რესურსების ნედლეულის წყარო.

თუ მხედველობაში მივიღებთ მსოფლიო საზოგადოებრიობისა და ევროკავშირის მიერ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ათასწლეულის გამოწვევის მიზნების (მათ შორის წყლის რესურსებთან დაკავშირებული მიზნების) პრიორიტეტულობას - წყლის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ეკონომიკური თვალსაზრისით ხელს შეუწყობს წყალთან დაკავშირებული დარგების განვითარებასა და ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვას, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან შემდგომ ინტეგრაციას.

კანონპროექტის ეტაპობრივ ამოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები:

1. კანონი, გარდა მისი ზოგიერთი დებულებისა, ძირითადად ამოქმედდება 2019 წლის პირველი იანვრიდან.

2. კანონპროექტის ძირითადი სამართლებრივი კომპონენტი/ინსტრუმენტი მდინარეთა სააუზო მართვის გეგმები მიღებული/დამტკიცებული უნდა იქნეს 2024 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული პერიოდი, კანონის ამოქმედებიდან სააუზო მართვის გეგმების დამტკიცებამდე, საჭირო იქნება წყლის რესურსების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, ინფორმაციის შესაკრებად და დასამუშავებლად, შესასრულებელი მიზნების/მიზნობრივი მაჩვენებლების დასახვისათვის და საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული პერიოდი საჭიროა აგრეთვე სააუზო მართვის საკონსულტაციო სათათბირო საბჭოების ფორმირებისთვის, გეგმის მომზადების ყველა ეტაპზე საზოგადოებრიობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვისთვის და ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი სამსახურების გაძლიერებისთვის, რომლებმაც სააუზო მართვის ორგანოების ფუნქციას შესრულებენ და პრაქტიკულად უნდა უზრუნველყონ სააუზო მართვის გეგმების მომზადება და მათი განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი.

სააუზო მართვის გეგმებმა უნდა მოიცვან 6-წლიანი ციკლი და შესაბამისად, ამ გეგმების მიერ დასახული წყლის ხარისხის გაუმჯობესების (წყლის კარგი /სტატუსის მიღწევის) ან შენარჩუნების და სხვა თანამდევ მიზნები საქართველოში მიღწეული უნდა იქნეს 2028-29 წლებისთვის.

3. კანონპროექტითა და საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულია ზედაპირული წყლებიდან წყალაღებასა და ზედაპირულ წყლებში წყალჩაშვებაზე უფლებადმჭურველი (სანებართვო) რეჟიმის დადგენა 2022 წლის პირველი იანვრიდან. გარდამავალი პერიოდი საჭიროა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ნებართვას დაქვემდებარებული ობიექტების სრულყოფილი იდენტიფიკაციისთვის და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად.), რაც შეეხება წყალაღების მოსაკრებელს, რომელიც სპეციალური წყალსარგებლობისას უნდა გადაიხადოს წყალმოსარგებლემ, აღნიშნული მოსაკრებლების გადახდის ვალდებულებაც შემოდის 2022 წლიდან.

აღნიშნული პერიოდი ზემოაღნიშნული მოსაკრებლის შემოღებისთვის ახალი კანონის ამოქმედებიდან იმისთვის არის საჭირო, რომ ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩატარდეს რეალური ეკონომიკური ანალიზი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების მიხედვით, რათა დადგინდეს მოსაკრებლის ოდენობის გასაშუალოებული ოპტიმალური ოდენობები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული იქნება სააუზო მართვის დანერგვისათვის სავალდებულო ინსტიტუციურ ცვლილებების გატარებისთვის აუცილებელი ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსებასთან. სამეურნეო სუბიექტებს ასევე დასჭირდებათ გარკვეული ინვესტირება კაპიტალურ ინფრასტრუქტურაში კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, 2022 წლიდან წყალაღებაზე მოსაკრებლის ამოქმედების შემდგომ გაიზრდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წყალაღებაზე დადგენილი ტარიფების მიხედვით, მოსაკრებლის ამოღების პროპორციულად. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონით დადგენილი ტარიფების შესაბამისად წყალაღებაზე მოსაკრებლით მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა სავარაუდოდ, შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 5 000 000 ლარი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული იქნება სააუზო მართვის დანერგვისათვის სავალდებულო ინსტიტუციურ ცვლილებების გატარებისთვის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების გაძლიერება) აუცილებელი ხარჯების გამოყოფასთან. მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების ამოქმედების შემდგომ, აუცილებელი ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული გეგმებით დადგენილი ღონისძიებების ხასიათსა და მასშტაბზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება პირდაპირ არ განაპირობებს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, მაგრამ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების მიზნით, მოიაზრება არსებული საერთაშორისო პროექტების გაგრძელება, რაც გავლენას ახდენს ფინანსური ვალდებულებების მოცულობაზე.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონის ამოქმედება გამოიწვევს სხვადასხვა წყალმომსარგებლისთვის წყალაღებასთან დაკავშირებულ განსხვავებულ ხარჯებს. რაც დამოკიდებული იქნება აღებული წყლის მოცულობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით გათვალისწინებული ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებაზე მოსაკრებლების სისტემა ამოქმედდება 2022 წლიდან. აღნიშნულ ვადამდე მომზადდება მოსაკრებლის განახლებული ტარიფები. სამინისტრომ თხოვნით მიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (OECD), რომელიც განახორციელებს მოსაკრებლების სისტემის საერთაშორისო გამოცდილების და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის კვლევას და მხოლოდ დეტალური შესწავლის შემდგომ მოხდება მოსაკრებლების ტარიფების დადგენა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი, აგრეთვე შესაბამისობაშია წყლის სფეროში მოქმედ ევროკავშირის დირექტივასთან “2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად, აგრეთვე შემდეგ დირექტივებთან:

- დირექტივა N 91/271/EEC ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ, N98/15/EC დირექტივითა და N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად;
- დირექტივა N 91/676/EC სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად;
- დირექტივა N 2007/60/EC წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ;
- დირექტივა N 98/83/EC ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები ჩატარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების UNECE-ს და USAID-ს ექსპერტებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

UNECE-ს საერთაშორისო ექსპერტის (ბატონი სიმ ვაჰტრუსი) მიერ 2017 წელს მომზადებულია ანალიზი „წყლის შესახებ საქართველოს კანონის ჰარმონიზება სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან“. აგრეთვე, „მართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) USAID-ს პროექტის ფარგლებში, 2017 წელს, მომზადდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება“.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა